საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაპანაძე ვახტანგ მიხეილის ძე

კაპანაძე ვახტანგ მიხეილის ძე (დ. 17. VIII. 1960, ოზურგეთი), გენერალ-მაიორი (2013). საქართველოს შეიარაღებული ძალების გენ. შტაბის უფროსი (2013–16). სამხედრო მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი (2014). დაამთავრა თსუ-ის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტი (1983); ჯ. მარშალის სახ. სამხედრო ბიუჯეტის დაგეგმარებისა და უსაფრთხოების კოლეჯი (გერმანია, 1997); თავდაცვის ნაციონალური აკადემიის ოპერატიულ-ტაქტიკური ფაკ-ტი ოქროს მედლით (უკრაინა, 1999); სახმელეთო ძალების ომის წარმოების კოლეჯი (აშშ, 2003). იყო ავღანეთის ვეტერანთა ბატალიონის შტაბის უფროსი (1991–92), სპეციალური დაზვერვის ბატალიონის მეთაური (1992), საქართვ. გენ. შტაბის საჯარისო დაზვერვის სამმართველოს განყ-ბის უფროსი (1993–95), საქართვ. შეიარაღებული ძალების მოტომსროლელი ბრიგადის მეთაური (1999–2001), საქართვ. გენ. შტაბის ჟ–2 დაზვერვის დეპარტამენტის უფროსი (2001–02), საქართვ. გენ. შტაბის სახმელეთო ძალების (სწრაფი რეაგირების ძალების) შტაბის უფროსი (2003–04), საქართვ. შეიარაღებული ძალების გენ. შტაბის უფროსი (2004–05), საქართველოს პრეზიდენტის სამხ. მრჩეველი (2005–06), აფხაზეთის მთავრობის ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი (2006), საქართვ. საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი (2007), სრულუფლებიანი და საგანგებო დესპანი პოლონეთის რესპუბლიკაში (2007–08), საქართვ. საგარეო დაზვერვის სპეც. სამსახურის უფროსის მოადგილე (2008–12).

კ. დაჯილდოებულია ღირსებისა (1992) და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის (2000) ორდენებით, აშშ-ის ეროვნული გვარდიის საპატიო მედლით. არის აშშ-ის სახმელეთო ძალების ომის წარმოების კოლეჯის „ღირსების დარბაზის" საპატიო წევრი. სპორტის ოსტატი (1981, რაგბი).